შპს ევროცემენტი

EVROCEMENT LTD

#19/94

03 სექტემბერი 2018წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს
შპს ,,ევროცემენტი"-ის დირექტორის
ზაზა ბაღდავაძის

სკრინინგის განცხადება

შპს ,,ევროცემენტი" (ს/კ 232541513) გეგმავს კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევში ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს მოწყობას. საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაგეგმილი საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს ,,ევროცემენტი"-ის ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1ეგზ
2. CD – 1 ცალი.

პატივისცემით,

დირექტორი ---------- /ზაზა ბაღდავაძე/

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11225
"03" 09 2018
1 წ.
+ 03 +

საქართველო, 0137 თბილისი, კაიროს ქ. 4ბ Georgia, 0137 Tbilisi, Kairo str. 4b
ტელ./ფაქსი: (995 32) 271 01 99 / 270 25 95 Tel./Fax: (995 32) 271 01 99 / 270 25 95
E-mail: Evrocement@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

შპს ,,ევროცემენტი“-ის დირექტორის
ზაზა ბაღდავაძის

სკრინინგის განცხადება

შპს ,,ევროცემენტი“-ის მიერ ა/წ #19/76 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იქნა ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება, რაზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-643, 06/08/2018-ის მიხედვით აღნიშნული პროექტი არ დაექვემდებარა გზშ-ს ჩატარების საჭიროებას.

ამ ეტაპისათვის შპს ,,ევროცემენტი“ დამატებით გეგმავს იმავე ტერიტორიაზე ინერტული მასალების მწარმოებელი მეორე საწარმოს მოწყობას, რის გამოც საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ განცხადებას ახალი პროექტის სკრინინგის პროცდურის გავლის მიზნით.

შპს ,,ევროცემენტი“(ს/კ 232541513)-ის ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევში (მიწის ნაკვეთის ს/კ 67.01.40.010, GPS კოორდინატები X – 466950, Y-4638750). უახლოესი დასახლებული პუნქტი აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია 390 მეტრით. დაგეგმილი საწარმოს ტერიტორია მდებარეობს შპს ,,ევროცემენტი“ - ცემენტის მწარმოებელი საწარმოს(სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #45; 23.02.06. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #00275; 03.11.2009) კუთვნილ ფართობზე.

ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს ტერიტორიაზე იგეგმება 40მ^3/სთ სიმძლავრის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსება, რომელიც წარმოადგენს მობილური ტიპის დანადგარს - მისი მოწყობისათვის სპეციალური სამშენებლო სამუშაოების(საძირკვლის მოწყობა ან სხვა) ჩატარება საჭირო არ იქნება. დანადგარის მიმდებარედ დამატებით მიწის ფართობის გამოყოფა ნედლეულის(ბალასტის) განსათავსებლად გათვალისწინებული არ არის - ავტოთვითმცლელებით შემოტანილი ბალასტი პირდაპირ ჩაიყრება სამსხვრევი დანადგარის ბუნკერში, ხოლო ნედლეულის მსხვრევის შედეგად მიღებული პროდუქციის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით, რომელთა ძარაზე მიღებული პროდუქტი დაიყრება სამსხვრევი დანადგარის საბოლოო პროდუქციის მიმღები ბუნკერიდან. სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარით განხორციელდება ნედლეულის ერთჯერადი მსხვრევა, მშრალი წესით.

საწარმოს იმუშავებს წლის განმავლობაში 300 დღის განმავლობაში, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით და მისი სიმძლავრე შეადგენს 96 ათას კუბურ მეტრს წელიწადში.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი საწარმო მოეწყობა შპს ,,ევროცემენტი“-ის ტერიტორიაზე, სხვა დამატებითი(მუშათა გასახდელი, სანიტარიული კვანძი და სხვა) ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის - დასაქმებული მუშა-პერსონალი ისარგებლებს აღნიშნული საწარმოს ინფრასტრუქტურით. დასაქმებული იქნება 3-5 ადამიანი.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ინერტული მასალის მტვერი.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან აღნიშნული სამსხვრევი დანადგარი და სხვა ტექნიკა არ წარმოადგენენ მაღალი ხმაურის დონის გამომწვევ დანადგარებს.

დაგეგმილ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

შპს ,,ევროცემენტი“-ის აღნიშნულ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, ზედაპირი წარმოადგენს ტექნოგენურ გრუნტს.

საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოები არ შესრულდება, ამიტომ არქელოგიური ძეგლების დაზიანებას ადგილი არ ექნება, ასევე საწარმოს ექსპლუატაციისას ადგილი არ ექნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებას, რადგან საწარმოს ზემოქმედების ზონაში ასეთის არსებობა არ ფიქსირდება.

საწარმოს მოწყობისას ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

დაგეგმილი საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ინერტული მასალის მტვრის რაოდენობა არ გადააჭარბებს უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე ზდკ-ის დაშვებულ ნორმას მის სიახლოვეს განთავსებულ ცემენტის მწარმოებელი საწარმოს ემისიების გათვალისწინებითაც კი(სუმაციური ეფექტი), ამიტომ კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დანართი:

1. საწარმოს სიტუაციური გეგმა;
2. საწარმოს საკადასტრო ნახაზი;
3. CD – 1 ცალი.

პატივისცემით,

დირექტორი, /ზაზა ბაღდავაძე/

დანართი 1

67.01.41.067
67.01.40.011
01.01.103
Kavtiskhevi
67.01.40.197
67.01.40.010
01.01.103
67.01.40.010
67.01.40.010
67.00.054
01.01.103
Mtkvari
Kaspi-KavtiskheviRd
200.23.23585
200.23.23585
Mtkvari

დანართი 2

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *67 01 40 010*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011497169
მიწის ნაკვეთის ფართობი: *54992* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია
მომზადების თარიღი: 12.10.11



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის№5. მზიის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. №4
www.napr.gov.ge